საქმე # 340310013262749

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

მესამე პირებად ჩართვის უფლების მქონე პირთათვის
სასამართლო შეტყობინების გამოქვეყნების შესახებ

13.03.2014 ქ. გურჯაანი

გურჯაანის რაიონული სასამართლო

მოსამართლე ნანა ჩალათაშვილი .

მოსარჩელე - შპს ,,გლეხური ბაზარი"

მოპასუხე - გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობა

მესამე პირები - მალხაზ ჩალათაშვილი, გია ჯიშკარიანი, დავით ჩალათაშვილი, ვახტანგი თევდორაშვილი, იოსებ ჩიტოშვილი, თეიმურაზ ჭაჭუკაშვილი, ვარდო ჩომახაშვილი, ნოდარ გოჩიტაშვილი, ნიკოლოზ ქიტოშვილი, შოთა არჯევნიშვილი, თეიმურაზ ბერიკაშვილი, თეიმურაზ შაშიაშვილი, მარიამ ყვირალაშვილი

დავის საგანი - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, აქტის გამოცემის დავალდებულება

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შპს ,,გლეხური ბაზარის" წარმომადგენელმა ადმინისტრაციული სარჩელით მომართა გურჯაანის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხე გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ და მოითხოვა: ბათილად იქნეს ცნობილი გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2013 წლის 24 მაისის #835 ბრძანება, შპს ,,გლეხური

ბაზრის" საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განლაგებულ მისსავე საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობათა დემონტაჟზე ნებართვის გაცემაზე უარის თქმის ნაწილში. დაევალოს გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობას, გამოსცეს ბრძანება შპს ,,გლეხური ბაზარის'' საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განლაგებულ მისსავე საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობათა დემონტაჟზე ნებართვის გაცემის შესახებ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი. სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულ საქმეში, გასაჩივრებული აქტების კანონიერების საკითხის გადაწყვეტა დაკავშირებულია იმასთან, რომ ნაგებობების დემონტაჟით ირღვევა თუ არა იმ პირთა ინტერესი, რომლებსაც ამ მიწის ნაკვეთზე მფლობელობაში ან საკუთრებაში აქვთ ნაგებობები და ეწევიან საქმიანობას, ამიტომ სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ჩაბმულ უნდა იქნენ მესამე პირებად ის პირები, რომლებსაც ამ მიწის ნაკვეთზე მფლობელობაში ან საკუთრებაში აქვთ ნაგებობები, ეწევიან საქმიანობას და რომლებიც აღნიშნულის შესახებ მოტივირებულ განცხადებას წარმოადგენენ.

სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამის სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილით, თუ არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო ნორმა, რომელიც არეგულირებს სასამართლო წარმოების დროს წარმოშობილ ურთიერთობას, სასამართლო იყენებს საპროცესო

სამართლის იმ ნორმას, რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერთობას (კანონის ანალოგია), ხოლო თუ ასეთი ნორმაც არ არსებობს, სასამართლო ემყარება სამოქალაქო საპროცესო სამართლის ზოგად პრინციპებს (სამართლის ანალოგია).

სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს საქმეში მესამე პირად ჩართვის მსურველი პირები სასამართლო პროცესზე მოიწვიოს საჯარო შეტყობინების მეშვეობით.

სარეზოლუციო ნაწილი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, მე-16-ე მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-ე, 285-ე, 414-416-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. გურჯაანის რაიონული სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე და სასამართლოს ვებ-გვერდზე განთავსდეს სასამართლო შეტყობინება საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომლითაც ეცნობოთ იმ პირებს, რომლებსაც ქ. გურჯაანში, წმინდა ნინოს ქუჩა #3-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე მფლობელობაში ან საკუთრებაში აქვთ ნაგებობები და ეწევიან საქმიანობას, რომ საქართველოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე სასამართლო მესამე პირებად ჩააბამს იმ პირებს, რომლებიც აღნიშნულთან დაკავშირებით სურვილს გამოთქვამენ.

2. დაინტერესებულ პირებს ეცნობოთ, რომ შპს ,,გლეხური ბაზარის" სარჩელისა გამო, მოპასუხე გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის და ახალი აქტის გამოცემის დავალდებულების თაობაზე აღძრულ №3/36-13 ადმინისტრაციულ საქმეზე მთავარი სასამართლო სხდომა დანიშნულია <u>2014 წლის 15 აპრილს 14:00 საათზე, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მდებარე: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქუჩა #24.</u>

3. მესამე პირებად ჩართვის უფლების მქონე პირთათვის სასამართლო შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

4. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

მოსამართლე ნანა ჩალათაშვილი